საქართველოს
ფოლკლორის
სახელმწიფო
ცენტრი

2017 წლის III კვარტლის ანგარიში

❖ 4 ივლისს, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ,,გალერეაში" გაიხსნა გია მარკოზაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. გამოიფინა 30-მდე აბსტრაქტურული ნამუშევარი. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 250-მდე ადამიანმა.

❖ 5 ივლისს ზესტაფონის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები და მათი პედაგოგები (გივი შანიძე, ალექსანდრე ხახიშვილი, ლია ფცქიალაძე, დინარა შუბითიძე, რევაზ შარიქაძე) მიიწვიეს ,,საზოგადოებრივი რადიო ერთი"-ს ეთერში. შემდეგ ისინი ეწვივნენ ქართული ხალხური სიმღერის და საკრავების სახელმწიფო მუზეუმს. დამსწრე საზოგადოებისთვის მოსწავლეებმა რამდენიმე სიმღერაც შეასრულეს. ზესტაფონის სალოტბარო სკოლა 2015 წელს გაიხსნა და დღეისთვის უკვე 40-მდე მოსწავლე ქართულ ხალხურ სიმღერას და ტრადიციულ გალობას უფასოდ სწავლობს.

❖ 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ფონდი ,,ქართული გალობის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ზემო რაჭაში ჩატარდა ფოლკლორისტული ექსპედიცია. ექსპედიციის ხელმძღვანელი ნატალია ზუმბაძე, წევრები: ნანა კალანდაძე, არჩილ ბურჭულაძე.
ექსპედიციამ იმუშავა სოფლებში: შეუბანი, ლაჩთა, გლოლა, ღები, ჭიორა, უწერა, ღარი, ცხმორი, საკაო, მრავალძალი, ასევე ქალაქებში ამბროლაურსა და ონში, მოიძია მასალები იმ მომღერლების შესახებ, რომლებიც შალვა ასლანიშვილმა 1949 წელს ჩაწერა. ექსპედიციამ ასევე ჩაწერა ონის რაიონში დღეს მოქმედი ხალხური სიმღერის ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

❖ 29 ივლისიდან - 10 სექტემბრის ჩათვლით, კურორტ საირმეში გაიმართა მუსიკალური ფესტივალი ,,საირმე 2017". მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ჟანრის მუსიკალურმა ანსამბლებმა და სოლო შემსრულებლებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. 7 კონცერტს დაახლოებით 2000-მდე მსმენელი ჰყავდა.

❖ 1 სექტემბერს, Black Sea Arena -ზე შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორებმა პრესკონფერენცია გამართეს. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ, „ბლექ სი არენა ჯორჯიას" დირექტორმა ანა კავლელიშვილმა, გურიაში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ და ესპანელმა ფოლკლორისტმა პოლო ვალეხომ ფესტივალის მნიშვნელობაზე, მონაწილე ქვეყნებსა და ფოლკლორულ ჯგუფებზე, გალა კონცერტის დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე ისაუბრებეს.

❖ შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი ტრადიციულად შავიზღვისპირეთში ჩატარდა და წელს, გურიასთან ერთად, აჭარამაც უმასპინძლა. კონცერტები 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს, ბათუმსა და შეკვეთილში გაიმართა, ხოლო 2 სექტემბერს გრანდიოზული გალა კონცერტით „ბლექ სი არენაზე“ დასრულდა.
ფესტივალი, რომლის ავტორი და ორგანიზატორი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრია, Black Sea Arena-ს, ,,Check in Georgia"-სა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა. ფესტივალს დაესწრო დაახლოებით 8000-მდე ადამიანი.

❖ 22 სექტემბერს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თოჯინების გამოფენა. გამოიფინა 30 მეთოჯინის 200მდე ნამუშევარი (ცვილის, თიხის, რბილი, ეთნოგრაფიული, მარიონეტები)

• გამოსაცემად მზად არის დისკი საარქივო აუდიოჩანაწერები. (კასპი, ქვემო ჭალა.) კომპაქტდისკზე წარმოდგენილია სიმღერა-დასაკრავები ქვემო ჭალის ფოლკლორული ანსამბლის, ქართლის და ამავე სოფლელი და-ძმის, იოსებ და ნადია ისერგიშვილების რეპერტუარიდან.

• გამოსაცემად მზად არის აუდიო ალბომი: ,,მიშა მცურავიშვილი, ,,ჩემი სიმღერა"

• მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე -„ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“.

• მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov.ge შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.

• მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის შესავსებად.